შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სავაჭრო გუნდი"

მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

შინაარსი

1. საქმიანობის მიმოხილვა 4
2. განვითარების სტრატეგია 5
3. ჩატარებული კვლევები 6
4. ფინანსური ინფორმაცია 6
5. ფინანსური რისკების მართვა 9

წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო გუნდის“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

20 სექტემბერი 2023 წელი

ილია შარიქაძე

დირექტორი

შპს „სავაჭრო გუნდი“

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „სავაჭრო გუნდი“ ბაზარზე ოპერირებს 2009 წლიდან. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უალკოჰოლო სასმელების და საკვები პროდუქტების იმპორტი. იმპორტი ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნებიდან: თურქეთი, გერმანია, დანია, ავსტრია, ესპანეთი, პოლონეთი, საფრანგეთი და ა.შ.

კომპანია ფუნქციონირებს საკუთარი ერთი ადმინისტრაციული ოფისით რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, მუხრან მაჭავარიანის 7 ნომერში. 2023 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 8 თანამშრომელს (2022: 7 თანამშრომელი).

წლიური შედეგები ('000 ₾)	2023	2022	*ცვლ.(%)*
შემოსავალი რეალიზაციიდან	17,736	11,325	*56.61%*
საერთო მოგება	3,104	2,321	*33.74%*
წლის მოგება	1,666	1,359	*22.59%*
აქტივები და ვალდებულებები ('000 ₾)	**2023**	**2022**	***ცვლ.(%)***
სულ აქტივები	4,287	2,398	*78.77%*
სულ ვალდებულებები	552	202	*173.27%*
სულ კაპიტალი	3,735	2,196	*70.08%*
ფინანსური მაჩვენებლები	**2023**	**2022**	***ცვლ.(%)***
საერთო მოგების მარჟა (%)	17.50%	20.49%	*-14.61%*
მოგების მარჟა (%)	9.39%	12.00%	*-21.72%*
არაფინანსური მაჩვენებლები	**2023**	**2022**	***ცვლ.(%)***
დასაქმებულთა რაოდენობა	8	7	*14.29%*

კომპანია დაარსების დღიდან ყოველწლიურად ვითარდება და იზრდება, ორიენტირებულია პროდუქციის ასორტიმენტის ზრდასა და ბიზნესის განვითარებაზე.

ბიზნესი და ოპერაციები

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურად პასუხობს კომპანიის მისიას და გამოწვევებს. სტრუქტურულად მოცემულია ორი ძირითადი მიმართულება - შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისგებელია დასახული გეგმების შესრულებაზე და ადმინისტრაციული გუნდი.

კომპანიის მიზანია ჰყავდეს მოტივირებული და მონდომებული თანამშრომლები, რის გამოც კომპანიაში მოქმედებს საკმაოდ ეფექტური მოტივაციის სქემა.

პორტფელში არსებული პროდუქტების სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიში აწყობილი ლოგისტიკური ჯაჭვი უზრუნველყოფს პროდუქციის მიღებას მინიმალური დანახარჯებით და მაქსიმალური ვარგისიანობის ვადებით.

კომპანიის ძირითად კლიენტებს წარმოადგენს კომპანიები: სს „ ნიკორა ტრეიდი" და შპს „ პარტნიორი". შპს „ პარტნიორი" უზრუნველყოფს შპს „სავაჭრო გუნდი"-ს მიერ იმპორტირებული პროდუქციის სავაჭრო ობიექტებში დისტრიბუციას. ესენი არიან როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობის დანიშნულების მცირე, საშუალო, მსხვილი და ქსელური ობიექტები.

პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლებისა და კონკურენტული გარემოებების გათვალისწინებით.

2. განვითარების სტრატეგია

2023 წელს კომპანიამ განახორციელა სადისტრიბუციო პორტფელის ზრდა რამდენიმე ახალი ბრენდის დამატებით. მომავალში კომპანია გეგმავს საქართველოს ბაზრის კიდევ უფრო მეტად ათვისებას - ასორტიმენტის, მომხმარებელთა და მომწოდებელთა ბაზის გაფართოებას.

3. ჩატარებული კვლევები

კომაპანია ყოველწლიურად ატარებს ბაზარზე არსებული მდგომარეობის მარკეტინგულ კვლევას, რასაც ძირითადად ორი მიმართულება აქვს:

- ხდება კონკურენტების ფასების კვლევა, საკუთარ პროდუქციასთან შედარება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირებების შეტანა სარეალიზაციო ფასებში;

- კომპანია სისტემატურად იკვლევს არსებული ბაზრის პროდუქტით გაჯერებულობის ხარისხს - ხდება „დეფიციტური" პროდუქციის გამოვლენა და ამის საფუძველზე ბაზრისთვის შეთავაზებული პროდუქციის ასორტიმენტის ზრდა.

4. ფინანსური ინფორმაცია

შპს "სავაჭრო გუნდი" 2023 წელს მესამე კატეგორიის საწარმოს წარმოადგენს და ფინანსურ ინფორმაციას წარადგენს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	620,381	3,492
არამატერიალური აქტივები	1,074	1,223
აქტივების გამოყენების უფლება		
	621,455	4,715
მიმდინარე აქტივები:		
მარაგები	337,510	149,465
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,210,996	2,055,609
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	117,487	188,808
	3,665,993	2,393,882

მთლიანი აქტივები	**4,287,448**	**2,398,597**
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები:		
საწესდებო კაპიტალი	50,000	50,000
აკუმულირებული მოგება	3,685,250	2,146,664
	3,735,250	**2,196,664**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	-	-
საიჯარო გრძელვადიანი ვალდებულება	-	-
	-	-
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	552,198	201,933
საიჯარო მოკლევადიანი ვალდებულება	-	-
მიმდინარე სესხები	-	-
	552,198	**201,933**
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	**4,287,448**	**2,398,597**

კომპანიის აქტივები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მთლიანმა აქტივებმა 4,2 მილიონი ლარი შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი 2,3 მილიონი ლარი იყო. აქტივების ზრდის ერთ-ერთი მიზეზია ძირითადი საშუალებების ზრდა. 2023 წელს კომპანიამ მოახდინა საკუთარი საოფისე ფართის შეძენა.

მოკლევადიანი აქტივები წარმოადგენს ჯამური აქტივების ყველაზე დიდ ნაწილს (86%), ეს განპირობებულია კომპანიის სპეციფიკით - შპს "სავაჭრო გუნდი" იმპორტიორი კომპანიაა და სწორედ ამიტომ, მისი აქტივების უდიდესი ნაწილი უჭირავს სავაჭრო მოთხოვნებს და მარაგებს.

2023 წელს სავაჭრო მოთხოვნების ზრდის მიზეზია საანგარიშგებო წლის განმავლობაში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ასორტიმენტის ზრდა.

რაც შეეხება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მარაგებს, 2023 წლის ბოლოს მარაგები ჯამური აქტივების 8%-ს შეადგენდა (2022 წლის ბოლოს 6%); კომპანიაში არსებული ლოგისტიკის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მარაგების ოპტიმალური ნაშთების კონტროლს.

ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს. ამასთან, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებმა 2023 წლის ბოლოს მთლიანი ვალდებულებებისა და კაპიტალის 13% შეადგინა (2022 წლის ბოლოს 8%). სავაჭრო კრედიტორების უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ უცხოური კომპანიები, რომლებისგანაც კომპანია ყიდულობს სარეალიზაციო საქონელს. 2023 წელს სავაჭრო ვალედებულებების ზრდის მიზეზია, როგორც კომპანიის ბრუნვის ზრდა, ასევე მომწოდებლებთან გაუმჯობესებული გადახდის პირობები.

კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებულმა მოგებამ შეადგენდა 3,685,250 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით დაგროვილი მოგების 1,538,586 ლარით ზრდას ნიშნავს.

მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

ლარი	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი	17,736,626	11,325,245
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-14,632,528	-9,003,627
საერთო მოგება	3,104,098	2,321,618
სხვა შემოსავალი	190,332	244,340
დასაქმებულთა ანაზღაურება	-446761	-302755
ადმინისტრაციული ხარჯები	-768737	-696224
სხვა ხარჯები	-	-

შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	2,078,932	1,566,979
ფინანსური ხარჯები	-329347	-206789
ზარალი საკურსო სხვაობიდან	-60395	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	-
მოგება დაბეგვრამდე	1,689,190	1,360,190
მოგების გადასახადი	-22,770	-526
წლის მოგება	1,666,420	1,359,664
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	1,666,420	1,359,664

2023 წელს კომპანიის შემოსავლებმა 17,7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 56,6%-იან ზრდას გულისხმობს. შემოსავლებისა და შესაბამისად, საერთო მოგების ზრდის შედეგად, კომპანიამ შეძლო 2023 წელი 1,666,420 ლარიანი მოგებით დაესრულებინა.

ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მარკეტინგის დანახარჯები, რაც გამოწვეულია კომპანიის მიერ აქტიური თრეიდ მარკეტინგის კამპანიის წარმოებით და სახელფასო ხარჯებით.

5. ფინანსური რისკების მართვა

საბაზრო რისკი

კომპანია დგას სავალუტო რისკების წინაშე, რადგან სავაჭრო გუნდი წარმოადგენს იმპორტიორ კომპანიას და საქონლის შეძენა ხდება უცხოურ ვალუტაში. კომპანია ყოველთვიურად ახდენს სავალუტო რისკების შეფასებას, მომწოდებლებთან გადახდის პირობების და პროდუქციის თვითღირებულების გადახედვას, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სავალუტო რისკები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდურობის აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და დამფუძნებლები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და აკუმულირებულ მოგებას.